პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

1990
6 იანვარი
შაბათი
№3 (6230)
ფასი 8 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

წლიური გეგმა —გადაჭარბებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული წლის გეგმა შეასრულეს რაიკოოპერატორებმა მუშაკებმა, რომლებმაც მომხმარებელს 10.619 ათასი მანეთის ნაცვლად 10.623 ათასი მანეთის საქონელი მიაწოდეს და დავალება 100,1 პროცენტით შეასრულეს.

გეგმის შესრულების საქმეში კარგად იშრომეს ცაგერის ზონის სავაჭრო ობიექტებმა, რომლებმაც მომხმარებელს 5.403 ათასი მანეთის ნაცვლად 5.570 ათასი მანეთის საქონელი მიაწოდეს.

წლიური გეგმა 104 პროცენტით გაანაღდეს საზკვების გაერთიანების მუშაკებმა, სადაც საქონელბრუნვამ ნაცვლად 1.550 ათასისა, 1.622 ათასი მანეთი შეადგინა.

ზ. ომანაძე.

რ ო ბ ა ელექტროენერგიის დეფიციტია

ჩვენი მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი ფაქტია, რომ დღეს, ენერგეტიკის განვითარების მასშტაბების მიუხედავად, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე მინიმალურადაც ვერ კმაყოფილდება. დეფიციტი კიდევ უფრო მწვავეა მას შემდეგ, რაც მეზობელ, სომხეთის რესპუბლიკაში ატომური ელექტროსადგურის ორივე აგრეგატი გამოითიშა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მკაცრ ენერგეტიკულ რეჟიმზე გადასვლას ითხოვს.

საგანგებოდ დაისვა საკითხი მცირე ჰიდროელექტროსადგურების აღდგენაზე, რომელთა მოდერნიზაციამ ახლის მშენებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსტრემალურ პირობებში მოსახლეობის და მით უფრო მთიანი ზონის სოფლის მცხოვრებთა ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად. პასუხობს კი ამ ზრუნვას თვით მომხმარებელი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საკმარისია რაიონის ნებისმიერ სოფელს ესტუმროთ და იშვიათად ნახავთ, რომ დღისით, მზისით საცხოვრებელი სახლის აივნებზე ელექტრონათურები არ ციმციმებდეს. წარმოება-დაწესებულებათა დერეფნებსა თუ ოთახებში სისტემატურად ანთია რამდენიმე ნათურა.

ჩვენი ყოფა-ცხოვრება, ჩვენი სასიცოცხლო დარგების, სახალხო მეურნეობის ნორმალური მუშაობა წარმოუდგენელია ელექტროენერგიის გარეშე, და დღეს, როცა მისი დეფიციტის ამ უმწვავეს პერიოდში ჩვენგან მის მომჭირნეობას ითხოვენ, ნუ გამოვიჩენთ უგულისყურობას. ჩვენს 2000 კომლიან ქალაქში თუ თითოეული ოჯახი თუნდაც ერთ 100 ვატიან ნათურას ჩააქრობს, ეს დაახლოებით 1500 კილოვატის ეკონომიას მაინც მოგვცემს.

ჩვენი რაიონის ტერიტორიას 755 კვადრატული კილომეტრი უჭირავს, სადაც 10 კოლმეურნეობა, ერთი საბჭოთა მეურნეობა, ოთხი საზოგადოებრივი მეურნეობა, 14 სასოფლო საბჭო და 57 დასახლებული პუნქტია განლაგებული. ელექტრომეურნეობის მუშაკებს უძნელდებათ ელექტროენერგიის უყაირათოდ, მფლანგველურად მხარჯველთა რამდენჯერმე გაფრთხილება და ამ დროს ზედამხედველად მომხმარებელთა სინდისი უნდა გამოდგეს.

ზოგი აცხადებს, რასაც ვხარჯავთ, საფასურს ხომ ვიხდიო, განა საქმე მარტო საფასურის გადახდაშია? თუმცა, ბევრია ისეთი, ამასაც რომ თავს არიდებს. რატომ გვავიწყდება, რომ ულეველი არაფერია და მით უფრო ახლა, ამ მწვავე დეფიციტის დროს, ყველგან და ყველაფერში რომ უმკაცრესი მომჭირნეობაა საჭირო მოსალოდნელია ხვალ ჩაგვიქრეს ცისფერი ეკრანი, თვალი მოგვიხუჭოს ნათურებმა, ასე, საამოდ რომ გვიჩირაღდნებენ ეზო-კარს. ამაზე სიფხიზლე სასოფლო საბჭოებს მართებთ, ყველგან უნდა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც სისტემატურად შეახსენებს თანასოფლელებს — ჩავაქროთ თუნდაც ერთი ნათურა, ვეცადოთ დავხარჯოთ მხოლოდ იმდენი, რამდენიც ჩვენი ნორმალური ყოფა-ცხოვრებისთვისაა საჭირო და მაშინ საგანგაშოც აღარაფერი გვექნება. ზღვა კოვზით დაგველევა და ამის მიზეზი ჩვენი ხელგაშლილობა იქნება.

გვახსოვდეს, ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვა ენერგოსისტემის ნორმალურად მუშაობის საწინდარია.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი დღის წესრიგით:

1. ორგანიზაციული საკითხი

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენების შესახებ რაიონის პარტიული ორგანიზაციისაგან.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობებისა და სასრფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პარტიული, საბჭოთა აქტივი.

პირველ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა **ე. კ. გუგავამ.**

პლენუმმა პარტიის რაიკომის წევრები კ. კიღურაძე, ტ. ალავიძე, ვ. შიოშვილი სამუშაოდ და საცხოვრებლად რაიონიდან წასვლის გამო გამოიყვანა რაიკომის შემადგენლობიდან.

პლენუმმა რაიკომის წევრობის კანდიდატობიდან რაიკომის წევრებად გადაიყვანა რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი **გიორგი ოთარის ძე მუშკუდიანი** და ორბელის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი **იური რუბენის ძე ნემსწვერიძე.**

პლენუმმა პარტიის რაიკომის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა კ. ი. კიღურაძე.

პლენუმზე პარტიის რაიკომის ბიუროს წევრობის კანდიდატურებად დასახელებულ იქნა ორი ამხანაგი. ფარული კენჭისყრით რაიკომის ბიუროს წევრად არჩეული იქნა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ომარ მიხეილის ძე ჭაბუკიანი.**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით პლენუმმა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რაიონის პარტიული ორგანიზაციისაგან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი **ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა.**

ჩვენი მოწინააღმდეგენი

ტრადიციულად ახალი წლის დასაწყისში ორ მომენტზე ჩერდება ხოლმე ყურადღება—გასული წლის შეფასება და ფიქრი მომავალზე. ის, რაც გუშინ თავის სიახლით გვჭრიდა თვალს, დღეს აღარავის აინტერესებს.

ოთარ ხეცურიანს ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, კომუნისტს, ხუთი შვილის მამას, თავის საქმიანობა არასოდეს დაუყვია ცალკე პერიოდებად — წარსულად, აწმყოდ, მომავლად, მისი მთავარი საქმე, მთელი სიცოცხლე რომ ემსახურება, არასოდეს დაუნაწილებია. უკვე გაკეთებულად და მომავალში გასაკეთებლად. პატიოსანი შრომა აღქმული აქვს როგორც ერთი უწყვეტი, დაუნაწევრებელი მიზანი, სწრაფვა, საზრუნავი.

სიყოჩაღე, დაუზარებლობა, პრინციპულობა, პატიოსნება მუდამ გამოარჩევდა მას. პრობლემები, რომლებიც ამჟამად აწუხებს ალპანის კოლმეურნეობას (და არა მარტო ალპანის), აწუხებს ერთგულ გლეხკაცს, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით კი არა, ალალი გარჯითა და ოფლის ბოწურვით ცდილობს მის გადაჭრაში აქტიურ მონაწილეობას.

მიწა გლეხის იქნებაჯ თუ საზოგადოებრივი, მთავარია გიყვარდეს, იცოდე მისი ყადრი და გესმოდეს მისი ძახილიო, როდის რა სჭირდება, თვითონვე გიხმობს, ოღონდ ყური მიუგდო, ახლოს მიხვიდე, არ დაგეზაროს მზრუნველობაო, — ხშირად ეტყვის ახალგაზრდობას. ხშირად სამდურავსაც გამოურევს: როგორც მშობელს, მახარებს ჩვენი ახალგაზრდების აქტიურობა, მათი სურვილი, აკეთონ პატრიოტული, ეროვნული საქმეები, მაგრამ ძალიან მინდა მათ კრიტიკული თვალით თავიანთ გარშემოც მიმოიხედონ, დაფიქრდნენ, დაინახონ, რით ცხოვრობენ მათი ახლობლები, რით იქმნება მათი ოჯახების მატერიალური დოვლათი. განა არ უნდა აწუხებდეს ბევრ მათგანს, თვითონ რომ ფუფუნებაშია, რატომ

სამომავლო იმედებით

ზოგადოებრივი, მთავარია გიყვარდეს, იცოდე მისი ყადრი და გესმოდეს მისი ძახილიო, როდის რა სჭირდება, თვითონვე გიხმობს, ოღონდ ყური მიუგდო, ახლოს მიხვიდე, არ დაგეზაროს მზრუნველობაო, — ხშირად ეტყვის ახალგაზრდობას. ხშირად სამდურავსაც გამოურევს: როგორც მშობელს, მახარებს ჩვენი ახალგაზრდების აქტიურობა, მათი სურვილი, აკეთონ პატრიოტული, ეროვნული საქმეები, მაგრამ ძალიან მინდა მათ კრიტიკული თვალით თავიანთ გარშემოც მიმოიხედონ, დაფიქრდნენ, დაინახონ, რით ცხოვრობენ მათი ახლობლები, რით იქმნება მათი ოჯახების მატერიალური დოვლათი. განა არ უნდა აწუხებდეს ბევრ მათგანს, თვითონ რომ ფუფუნებაშია, რატომ უჭირს ეკონომიკურად ზოგიერთ თანატოლს, რატომ ვერ ცხოვრობენ ხელგაშლილად. მაღალი იდეალებისათვის მებრძოლს ხომ სული განწმენდილი უნდა ჰქონდეს... საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ძალიან ვესწრაფვით, პატიოსნად შრომა და ცხოვრება კი ბევრს არ უნდა...

სამომავლოდ რა სურს?

— გვაწუხებდეს გაუკეთებელი საქმე. ერთად, ხელიხელჩაკიდებული ერთსულოვნებით დავძლევთ სიძნელეს, გარჯით შევძლებთ დასახულის მიღწევას.

ასეთია რწმენა ჯანმაგარი კოლმეურნისა ახალი წლის პირველ დღეებში, რომელსაც თვითონ არასოდეს არ უღალატებს.

ბ. ბაქრაძე.

მასწავლებელთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 9 იანვარს, დღით, სამშაბათს 11 საათზე ცაგერის საშუალო სკოლაში გაიმართება რაიონის მასწავლებელთა საგნობრივი სექციების სხდომები. სექციების სხდომებზე დასწრება სავალდებულოა.

განათლების განყოფილება.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲔᲕᲐᲜ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა დაბეჭდა ამ დღეებში მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობა მიიღებს ცაგერის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგის, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარის ლევან ალექსანდრეს ძე ჩიქოვანის წიგნს „ცაგერის რაიონის მშრომელები დიდ სამამულო ომში“.

წიგნში საარქივო მასალებისა და დოკუმენტების, მემუარული ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთებისა და ომის მონაწილეთა მოგონებების საფუძველზე ასახულია დიდი სამამულო ომის წლებში ცაგერის რაიონის მშრომელთა შემართება და თავდადება, ომში გაწვეულთა მამაცობა და გმირობა. ნაჩვენებია ის წვლილი, რომელიც რაიონის მშრომელებმა შეიტანეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

წიგნი შედგება 6 თავისაგან. პირველ თავში, რომლის სათაურია „სამშობლოს დაძახილზე“, გაშუქებულია რაიონის მშრომელთა განწყობილება ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმის გამო, ნაჩვენებია რაიონის ახალგაზრდობის მისწრაფება დაუყოვნებლივ წასულიყვნენ ფრონტზე და მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი დიადი სამშობლოს მიწა-წყალზე შემოსეული მტრის განადგურებაში.

მეორე თავი ეძღვნება ზურგის მშრომელთა მამაცობასა და თავდადებას, მესამე თავში გაშუქებულია რაიონის წარგზავნილთა საბრძოლო გმირობა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, პარტიზანულ ბრძოლებში, ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში. მეოთხე თავი ეხება სამამულო ომში რაიონის ქალთა მონაწილეობას. მეხუთე თავის სათაურია „მამულისათვის შეწირული სიცოცხლე“, სადაც მოთხრობილია შინმოუსვლელ ჯარისკაცებზე, მეექვსე თავში გადმოცემულია ის ღონისძიებები, რომლებიც რაიონში ხორციელდება ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, ომის ვეტერანთა მატერიალურსაყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

წიგნის მოცულობის გადიდების თავიდან აცილების მიზნით ავტორმა, როგორც ამას წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ვერ შესძლო მასში შეეტანა ყველა ღირსეული ადამიანი. ამიტომ ავტორს განზრახული აქვს გამოსცეს წიგნის მეორე ნაწილი, სათაურით „უკვდავი გმირობა“, რომელშიც შევა ყველა ის მებრძოლი, რომლებიც ამ წიგნში ვერ მოხვდნენ.

წიგნი გარეგნულად მიმზიდველადაა გაფორმებული, შეიცავს 243 გვერდს და გამოცემულია 3000 ცალი ტირაჟით. იგი მალე გაიყიდება საქწიგნის მაღაზიებში.

ამ წიგნის გამოცემით ბატონმა ლევან ჩიქოვანმა დიდი სამსახური გაუწია რაიონის მშრომელებს, სამუდამოდ უკვდავყო დიდი სამამულო ომის მონაწილეთა საბრძოლო გმირობა.

ეს ლ. ა. ჩიქოვანის მეორე წიგნია, რომელიც ეძღვნება ლეჩხუმელ მშრომელთა რევოლუციურ და საბრძოლო ტრადიციებს.

ვუსურვოთ ავტორს დიდი ხნის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, კარგად ყოფნა და შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა.

ვ. ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲝᲠᲘ წლის წინათ ძალაში შესულმა კანონმა სახელმწიფო საწარმოთა (გაერთიანებათა) შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო, დაასაბუთა ხაზი, რომ სოციალისტური ეკონომიკის რეკონსტრუქცია უნდა დაიწყოს სწორედ ძირითადიდან — საწარმოო რგოლიდან. მისი მიზანია შეიქმნას ინიციატივის განვითარების, ფხიანობის, მეურნეობის გულმოდგინედ გაძღოლის პირობები. ეს კანონი სამართლებრივი ეკონომიკის ფორმირების პირველი წინგადადგმული დიდი ნაბიჯია, მან განსაზღვრა მეურნეობრივი დამოუკიდებლობისა და საწარმოების შრომითი კოლექტივების თვითმმართველობის იურიდიული საფუძვლები.

ამჟამად შეიქმნა მდგომარეობა, როცა მრავალი საწარმო აყენებს სახშეკვეთის დამატებით წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში დამოუკიდებლობის გაფართოების საკითხს. მაგრამ ისინი, რომლებისთვისაც ეს შეკვეთა შეადგენს სრულ ას პროცენტს, პრაქტიკულად მოკლებული არიან ასეთ უფლებას. ესენი, კერძოდ, არიან სათბობისა და ნედლეულის დარგის საწარმოები, და არსებული ეკონომიკური წესის უსამართლობა გახდა მეშახტეთა გაფიცვის ერთ-ერთი წამქეზებელი მოტივი.

ახლა, როგორც ვხედავთ, მუშაობა სულ სხვაგვარად დაიწყო და უწინარეს ყოვლისა თვით საწარმოთა, მათი კოლექტივების ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობს. მესწორებების მიზანია სახალხო მეურნეობის ეს მუშა რგოლი დაიცვას ადგილობრივი დიქტატისა და ყველა იმ დარგობრივ სამინისტროთა ადმინისტრაციული ჩარევისაგან, რომელთაც ამიერიდან ჩამოერთვათ სახშეკვეთის შედგენილობის განსაზღვრის უფლება.

ეს მომენტი, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია: იქმნება საწარმოების შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოვლენის პირობები. ხომ ცნობილია, რომ შრომითს კოლექტივებს, რომლებიც საიჯარო ურთიერთობაზე გადადიან, მაგალითად, უფლება აქვთ აღარ დაექვემდებარონ ზემდგომი მართვის ორგანოებს.

სხვა საკითხია, მოეწონებათ თუ არა ეს ზემდგომ ორგანოებს. ხომ აბსოლუტურად ნათელია, რომ აქამდე მოქმედი სქემა აიოლებდა „ზემოდან“ ხელმძღვანელობას, თუმცა არც აკეთებდა ამას, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, უფრო ეფექტიანად.

ᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ

კანონის შესწორებებმა განამტკიცა კიდევ ერთი უფლება ყველასათვის — განურჩევლად საწარმოებისა — განახორციელონ საგარეო სავაჭრო ოპერაციები და შექმნან სავალუტო ფონდი. ყველა წინანდელი დადგენილება ამ საკითხზე ბრაქტიკულად არ მისულა საჭირო მისამართებამდე, ხოლო ზემდგომი ორგანიზაციები არ დახმარებიან საწარმოებს დაეძლიათ გაუბედაობა მათთვის ახალ საქმეში. უფრო სწორად, არ ჩქარობდნენ დახმარებოდნენ — ასე უფრო ხელსაყრელი იყო ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ არახელსაყრელი მათთვის, ვინც უშუალოდ მუშაობდა საგარეო ბაზრისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი შესწორების შესახებ. კანონის ახალი რედაქცია ხელახლა განიხილავს ხელფასის სახსრების განაწილების წინანდელ წესს — დამტკიცებული ნორმატივებით საშუალო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის თანაფარდობის შესაბამისად. ამიერიდან დადგენილია წესი: თუ ხელფასის ფონდის ზრდა არ აღემატება მიღწეული [illegible] შინ იგი გადასახადებით [illegible] რება. მაგრამ თუ მატება მაღალი აღმოჩნდება, მაშინ ის პროგრესული სკალით იბეგრება. გადახდის სისტემა იმდენად მკაცრია, რომ არა გვგონია ვინმეს დაებადოს სურვილი დასახულ ზღვარს გადასცილდეს.

ეს გაკოტრების გზაა, მაგრამ ქვეყანაში ინფლაციის ალგამვის გზაცაა. და იმას, რომ იგი რეალურია, გვარწმუნებს მხოლოდ ერთი გამონაკლისი საერთო წესიდან.

მტკიცე ფინანსური ჩარჩოები არ ახრჩობენ იმ საწარმოებს, გაერთიანებებს, მეურნეობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელფასის ფონდის მატებას საქონლის წარმოებისა და მომსახურების ხარჯზე. ესე იგი, ყოველივე ის, რაც გაკეთებულია, მაგალითად, ტანსაცმლის და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის, კვების პროდუქტების და ავეჯის, ფეხსაცმლისა და ქსოვილების შესაქმნელად — თავისუფალია პროგრესული გადასახადით დაბეგვრისაგან. ასეთი პრიორიტეტის მინიჭება იმით არის გამოწვეული, რომ ხელი შევუწყოთ საშინაო ბაზრის სწრაფ მომარაგებას და მაშასადამე, აყალიბებს კიდევ ერთ ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან მიმართულებას.

კანონის შესწორებები, რომლებიც ქვეყნის ახალი პარლამენტის სესიამ მიიღო, შეეხო ჩვენი სამეურნეო ცხოვრების უველაზე მნიშვნელოვან სფეროს — მიკროეკონომიკის სფეროს. სწორედ მასზეა დამოკიდებული რადიკალური რეფორმების მთელი შემდგომი მსვლელობა. წინანდელთან შედარებით საწარმოებს მინიჭებული აქვთ ეკონომიკური მოქმედების თავისუფლება, იმისათვის, რომ მან საბოლოოდ იზეიმოს, ციდევ იქნება ბრძოლა საჭირო. მაგრამ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს.

(საკდესი).

„ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲛᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ...“

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚ ᲙᲐᲤᲔ - ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲖᲔ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲘᲡ ესთეტიკური აღზრდის ცენტრში გასული წლის 31 დეკემბერს კომკავშირის ცაგერის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო საახალწლო კაფე-საღამო.

საზეიმო, საახალწლო განწყობით სავსე დარბაზშიც იგრძნობოდა ის დიდი ტკივილი, რაც გასული წლის ტრაგიკულმა დღეებმა არგუნა ჩვენს ერს. ეს დაუმსახურებელი ტრაგედიის ყოველი წუთი საქართველოს ისტორიისა სამარადჟამო იარად დარჩა ქართველთა გულში, ამიტომ იყო, რომ საახალწლო კაფე-საღამოზე პირველი სადღეგრძელო საქართველოს თავისუფლებისათვის შეწირულთა ხსოვნისა იყო.

საუკუნეების მანძილზე მეზობლად მცხოვრები, ძმად შერაცხული მტრად გვეჩვენა მათგან გულში ჩაცემული ხანჯალი, 9 აპრილს როზგებითა და ნიჩბებით ნაცემი თავისუფლებისაკენ მტოლვი ერი... გვტკიოდა, გვაშფოთებდა, ვწუხდით... მაგრამ სიმტკიცე სულის, ნიჭი სიმართლისათვის ბრძოლის ყოველთვის და ახლაც ღვთის რჩეული ერის კუთვნილებაა და ეროვნული გამოღვიძების ამ ეტაპზე კვლავ ბოროტთა ძლევის ენერგიას მოითხოვს ჩვენგან სამშობლო ჩვენი. ამიტომაც ხმაგაუბზარავად გუგუნებდა იმ დღეს ეროვნული სიმღერები, თუ ლადო ასათიანის უკვდავი სტრიქონები, ამიტომაც იყო ომახიანი თითოეულის ხმამაღლა ნათქვამი: „ჩვენ ვცოცხლობთ!“

საახალწლო ზეიმზე ახალი წლის პირველი დასალოცი სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა **ე. გუგავამ** წარმოთქვა.

საღამოზე ქართული სიმღერა, ქართული ლექსი და განუმეორებელი ქართული იუმორი ბატონოდა.

გრძნობას სულისას, სურვილს მომავლისას ქართველი კაცი სადღეგრძელოში აქსოვდა, მამა-პაპათა ქართული სუფრა იყო ზეიმი სიტყვის, ხელოვნებისა, გონიერებისა, ამ ტრადიციის ღირსეული მემკვიდრენი გახდნენ კონკურსის — „საუკეთესო სადღეგრძელოს ავტორი“. — გამარჯვებულნი.

უკვდავი სიმღერა „შავლეგო“ ერმა სისხლხორცეულად დაუკავშირა ქართველი რაინდის მერაბ კოსტავას ხსოვნას. ცაგერის საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასელების მიერ შესრულებული „შავლეგო“ სწორედ გმირის ხსოვნის უკვდავსაყოფად გაისმა.

სიწმინდის ტაძრისაკენ მიმავალ გზას, ერისკაცის, ქრისტეს მსახურის ჭეშმარიტი გული და მეგზურობა სჭირდება და ქართველებს ეს დიდი ბედნიერება არ გვაკლია, დიდი ილია მართლის შემოქმედება და ცხოვრება სწორედ ის სანთელია, რომელიც საქართველოს ნანატრ თავისუფლების გზას — გვინათებს. კიდევ ერთხელ შეგვახსენა ამ გზის სიმართლე ილიას წერილმა, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“.

ამ „შფოთიანი“ საუკუნის ბოლო ათწლეულს სიმღერითა და ცეკვით გაუწიეს მასპინძლობა ბარდნალის, ცაგერის საშუალო სკოლებისა და ცაგერის 91-ე პროფსასწავლებლის მოსწავლეებმა თუ რაიონის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა.

სილამაზის კონკურსმა მხიარულება გააორმაგა დარბაზში. „მის ცაგერი — 89“-ც დაასახელეს და დარბაზი თავისუფალი მეჯლისის მონაწილეებს დაუთმეს...

იმ დღეს ახალ წელს ზეიმობდა საქართველო, სიკეთეზე ლოცვით, ბედნიერების სურვილით ეგებებოდა ჩვენი მშობლიური ლეჩხუმიც 1990 წელს.

ლ. ᲪᲮᲕᲔᲓᲘᲐᲜᲘ.

ესმაურებიან სტატიას „პატარა გორი დიდია?“

მხარს ვუჭერ

გავეცანი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 26 დეკემბრის ნომერში გულნარა ბაშარაულისა და ნინო კლარჯეიშვილის სტატიას „პატარა გორი დიდია?“ სადაც ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ი. ბ. სტალინის დაბადების 110 წლისთავის საზეიმო აღნიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მე როგორც სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, დიდად გამახარა იმან, რომ გორში სტალინის დაბადების დღის აღსანიშნავი საზეიმო ცერემონიალის დროს საფუძველი ჩაეყარა საზოგადოება „სტალინის“ დაარსებას. მე პირადად მიმაჩნია, რომ ძვირფასი საქმე გვირგვინდება. ჩვენ ომისა და შრომის ვეტერანები ვთვლით, რომ ასეთი საზოგადოების შექმნა უთუოდ შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესებს.

მიგვაჩნია, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ი. ბ. სტალინის დამსახურების უგულებელყოფა იყო დიდი შეცდომა, რამაც ბევრი გაუგებრობა და წინააღმდეგობა გამოიწვია, სტალინის წინააღმდეგ ხელაღებით ბრძოლას ბევრი არასასიამოვნო შედეგი მოჰყვა.

ვის შეუძლია უარყოს სტალინის უდიდესი როლი რევოლუციის შემდგომი პერიოდის ეკონომიკის აღორძინებაში, სსრკ-ში სოციალიზმის მშენებლობაში, მეორე მსოფლიო ომის წარმატებით დაგვირგვინებაში, ომის შემდგომი სიძნელეების დაძლევაში.

სტალინი სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩვენს უზარმაზარ სახელმწიფოს. წინსვლის გზაზე წინააღმდეგობები ბევრი იყო და ფაქტია, რომ სტალინს ჰქონდა შეცდომებიც...

მე ვიტყოდი, რომ სტალინის გინებამ, არამც თუ სასურველი შედეგი გამოიღო, არამედ დამღუპველად იმოქმედა ყველაფერზე. ამდენი დრო გავიდა სტალინის გარდაცვალებიდან, ხალხს დაპირებებით ვკვებავდით, ვპირდებოდით კომუნიზმს და ამის სანაცვლოდ ყველაფერზე ათმაგად მოიმატა ფასებმა, შემოვიღეთ ტალონები. ერთმანეთს დაუპირისპირდა ერები და ეროვნებები. დაკნინდა კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი, გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი ტოვებს პარტიის რიგებს, ეწყობა მასიური გაფიცვები. საბჭოთა არმია და ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდა, ცხოვრების დონემ საგრძნობლად დაიწია.

სტალინის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალის კულმინაციური წერტილი იყო საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა.

საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბებულია საზოგადოების სამოქმედო პროგრამაში, საზოგადოების უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანაა მარქსისტულ-ლენინური იდეების ფართო პროპაგანდა მასებში, ულმობელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, სტალინის შრომების გამოცემა სხვადასხვა ენაზე და მათი გავრცელება მსოფლიოში. სტალინის შესახებ გამოცემული მონოგრაფიებისა და სხვა სახის ნაშრომების გამოქვეყნება ცალკე წიგნებად და აგრეთვე პრესის ფურცლებზე, ფართო საგიტაციო მუშაობის გაშლა სტალინის პიროვნებისა და მოღვაწეობის დადებითი მხარეების, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში მისი როლის წარმოსაჩენად, სტალინის მუზეუმის მუშაობის განახლება, საწარმოებსა და დაწესებულებებში საზოგადოება „სტალინის“ პირველადი ორგანიზაციების შექმნა, სადაც გაერთიანებენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უანმარიტი დამცველნი.

საზოგადოების პროგრამა ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესებისადმი ყოველმხრივ მხარდაჭერას, გვერდში ამოდგომას და უცილობელ ფაქტორად მიიჩნევს იმას, რომ მისი წევრები, უპირველეს ყოვლისა—ვეტერანები, იქნებიან, ყველაზე უფრო აქტიური მებრძოლები გარდაქმნისა.

მე მიზანშეწონილად მიმაჩნია, ჩვენს რაიონში გაიშალოს მუშაობა საზოგადოება „სტალინის“ პირველადი ორგანიზაციების შესაქმნელად.

გ. თუთისანი,

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი.

ორბელის კულტურის სახლი მშრომელთა კულტურული დასვენების ადგილია. განსაკუთრებით ახალგაზრდებს უყვართ აქაურობა. ისინი ჩაბმული არიან კულტურის სახლთან არსებულ სხვადასხვა წრეში.

სურათზე: ორბელის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ნათელა ონიანი (მარცხნიდან პირველი) აგიტმხატვრული წრის წევრებთან მეცადინეობაზე.

ზ. გზოგბავას ფოტო.

ქრისტეს შობა

ყველა ჩვენთაგანს, ღრმად მორწმუნესა თუ ათეისტს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაუგონია მაცხოვრის შობის უკვდავი საგალობელი: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“...

ქრისტიანულ დღესასწაულებს შორის უპირველესი სწორედ ესაა—შობის დღესასწაული, როცა ქვეყანას მოევლინა მესია, იგივე მაცხოვარი, ქრისტე, რომელსაც უნდა ეტვირთა კაცობრიობის ცოდვები და ეხსნა იგი. რწმენა მესიის სწრაფი მოვლინების შესახებ გავრცელდა და განმტკიცდა ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე, იმ დროს, როცა ებრაელ ხალხს განსაკუთრებით უჭირდა, როცა იუდეას მართავდნენ რომის მარიონეტი მეფეები.

ქრისტეს (ბერძნულია, ნიშნავს მხსნელს) დაბადების შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს მათეს და ლუკას სახარებანი. ზოგიერთ მომენტში ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ორივე ევანგელოსტი იზიარებს აზრს, რომ იესო შვა მიწიერმა დედამ. მხოლოდ იოანე წარმოადგენს იესოს დაბადებას, როგორც ღმერთის განსახიერებას.

ლუკას სახარებაში ნათქვამია, რომ იესოს მოსალოდნელი დაბადების შესახებ დედამისს აუწყა ანგელოზმა გაბრიელმა, სწორედ იმან, ვინც ელიზავეტას აცნობა იოანე ნათლისმცემელის ჩასახვის შესახებ. ღმერთმა გაბრიელი გაგზავნა ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, დავითის შთამომავალთან, რომელიც იოსებზე იყო დაწინდული. ანგელოზმა უთხრა მარიამს: ... კეთილშობილო! ღმერთი შენთანაა, დალოცვილი ხარ შენ ქალთა შორის. მარიამი შეაცბუნა ამ სიტყვებმა, ანგელოზმა კი განაგრძო: „ნუ გეშინის, მარიამ, მადლი ღვთისა გადმოვიდა შენზე, განაყოფიერდება საშო შენი და შობ ვაჟს, რომელსაც დაარქმევ იესოს. იქნება იგი დიადი და იწოდება უზენაესის პირმშოდ, და მისცემს მას უფალი დავითის ტახტს, და იმეფებს იგი იაკობის სახლეულზე უკუნითი უკუნისამდე და მის მეფობას არ ექნება დასასრული“. მარიამმა ჰკითხა, როგორ მოხდება ეს, იგი ხომ უბიწო იყო. ანგელოზმა უპასუხა, რომ სულიწმინდა გადმოვა მასზე და უზენაესის ძალა გაანაყოფიერებს ქალწულს, ამიტომაც მისი შვილი იქნება ძე ღვთისა. ეს ყველაფერი ღვთის ნებაა, უნაყოფო ელიზავეტა ხომ დაფეხმძიმდა. მაშინ მარიამმა უპასუხა: იყოს ნება ღვთისა! და ადიდა უფალი, რომელმაც მიანიჭა მას დიდება.

მათეს სახარების მიხედვით ერთ-ერთმა წინასწარმეტყველმა, ესაიამ, იწინასწარმეტყველა, რომ მესიას შობს ქალწული. ხოლო თუკი ეს ასეა, მაშინ მამამისი არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი მამაკაცი. იოსებს, შეიტყო რა მარიამის ფეხმძიმობის ამბავი, არ სურდა მისი შერთვა, მაგრამ სიზმრად გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც უთხრა, რომ არ უნდა ეშინოდეს მარიამზე დაქორწინება, რადგან იგი სულიწმინდამ გაანაყოფიერა, მისი—ვაჟი კი იქნება კაცობრიობის მხსნელი.

ორივე ამ სახარებაში ნათქვამია, რომ იესო დაიბადა იუდეაში, ქალაქ ბეთლემში. მათე ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ მარიამი და იოსები აქ ცხოვრობდნენ, ლუკას კი მიაჩნია, რომ თუმცა მარიამი და იოსები ნაზარეთელები იყვნენ, მათ მოუხდათ ბეთლემში (იოსების მშობლიური ქალაქი) ჩასვლა იმპერატორის ბრძანების თანახმად.

ლუკა დაწვრილებით აღწერს ქრისტეს დაბადების გარემოებებს. რომის იმპერატორმა ავგუსტმა გასცა ბრძანება მოსახლეობის აღწერის შესახებ. ყველა მცხოვრებს ევალებოდა მშობლიურ ქალაქში დაბრუნება. ამიტომ მოუხდება იოსებს ნაზარეთის დატოვება და ბეთლემში, დავითის ქალაქში დაბრუნება. აქ, ბეთლემში შობა მარიამშა ვაჟი, ვინაიდან სასტუმროში ადგილი არ აღმოჩნდა, მარიამმა თავლაში იმშობიარა და ახალშობილი ბაგაში მოათავსა.

ქალაქიდან მოშორებით მწყემსები იდგნენ. უცებ მათ ანგელოზი გამოეცხადათ. მწყემსები შეშინდნენ, მაგრამ ანგელოზმა დაამშვიდა ისინი და შეატყობინა სასიხარულო ამბავი მხსნელის დაბადებისა, რომელსაც იპოვნიან ბაგაში. შემდეგ გამოჩნდა მგალობელ ანგელოზთა გუნდი. მწყემსებმა გადაწყვიტეს წასულიყვნენ ბეთლემში და გაეგოთ, რა მოხდა იქ. ბეთლემში მათ ნახეს მარიამი, იოსები და ბაგაში მწოლარე ყრმა. მისი დანახვისას მწყემსები მოყვნენ, რა უთხრა მათ ანგელოზმა. დამსწრეთ გაუკვირდათ მათი ნაამბობი, მარიამმა კი კარგად დაიხსომა და ხშირად უფიქრდებოდა მწყემსთა სიტყვებს.

წმინდა ყრმას იოანე ღვთის სიტყვასთან აიგივებს, რომლის ქვეყნად მოვლინება ადამიანისაგან დამოუკიდებლად მოხდა: „პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმერთთან, და სიტყვა იგი იყო ღმერთი. და სიტყვა იგი განსხეულდა და ცხოვრობდა ჩვენთან“.

მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრით ქრისტეს შობის დღესასწაული ახალი სტილით 7 იანვარს (ძვ. სტ. 25 დეკემბერი) აღინიშნება.

რაჭა-ლეჩხუმში შობის ზეიმი ჭანტილობით (კორკოტობით) იწყება. ძველად ამ დღეს აქ ხარებს არ აუღლებდნენ, სადმე შორს არ წავიდოდნენ და დიდ საქმეს არ დაიწყებდნენ. ჭანტილის ჩადგმის შემდეგ ოჯახიდან გარეთ არაფერს გაიტანდნენ. ხალხის აზრით, ვინც შობას არ უქმობდა, ის მთელი წელი იტანჯებოდა.

დასასრული მე-4 გვერდზე.

ქმედითობა

„მივხედოთ, სანამ მთლად დაცლილა“

ჩვენი გაზეთის გასული წლის 13 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „მივხედოთ, სანამ მთლად დაცლილა“, რომელშიაც ლაპარაკია სოფელ ლუხვანოში მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ო. ჭაბუკიანის პასუხი, სადაც აღნიშნულია:

„გაზეთის კრიტიკული გამოსვლის რეაგირების საკითხი 1989 წლის 27 დეკემბერს განიხილა რაიონული საბჭოს აღმასკომმა და დასახა ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. კერძოდ, დაავალა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსს ი. ჭაბუკიანს დროულად აღადგინოს ლუხვანოში რადიოსა და ტელეფონის ხაზები, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს ზ. ბენიძეს მოეთხოვა წესრიგში მოიყვანოს ლუხვანოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ობიექტები და შეუფერხებლად მოამარაგოს მოსახლეობა გამომცხვარი პურით. კულტურის განყოფილების გამგის გ. ბრეგვაძის ყურადღება მიეპყრო იმ გარემოებას, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში შექმნილი არ არის მუშაობის ნორმალური პირობები, რაც დროულად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რაც შეეხება საქსელო უბნის უფროსს ა. ყურაშვილს, დავალება მიეცა სასწრაფოდ აღადგინოს სტიქიისაგან დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზები.

მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაწესებულია კონტროლი.

ქრისტეს შობა

(დასასრული).

ქრისტეშობის დღეს საკლავიც იკლებოდა. ეს უთენია უნდა მომზადებულიყო. გათენებისას ღარიბულად გამოწყობილი ახალგაზრდები, ძეტწილად ბავშვები ხელში ჯოხსა და კალათას დაიჭერდნენ და კარდაკარ ჩამოივლიდნენ, ვის კარზეც შეჩერდებოდნენ, ჯოხით დააბრახუნებდნენ და მღეროდნენ:

„ალათასა, ბალათასა, ხელი ჩაჰკარ კალათასა,
ამოიღე ერთი კვერცხი, ღმერთი მოგცემს ბარაქასა,
ბაბიელი, მარიელი, ნუ გაგვიშვებ ცარიელი,
ღმერთმა წმინდათ გაგითენოს შობის ახალ-წელიწადი“.

ალილოზე მოსულთ ოჯახში შეიპატიჟებდნენ, კარგად გაუმასპინძლდებოდნენ და დაასაჩუქრებდნენ, ანდა გარეთ გამოუტანდნენ კვერცხს, ჩურჩხელას, ხილს, სხვა ნუგბარს. ამ საჩუქრებით ბავშვები მერე ერთად მხიარულობდნენ.

შობით მთავრდება მარხვის დღეები და იწყება საყოველთაო დღესასწაული. ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი ეძლევა შვებას.

კუბლიკაცია მოამზადა

ია ხმელიძემ.

მოლდავეთის სსრ. ტარკლიის რაიონის სოფელ კოპჩაკის მიწათმოქმედთა შვილები შეუდგნენ პროგრამების ერთ-ერთი გავრცელებული ენის „ბეისკის“ შესწავლას. ეს შესაძლებელი გახდა სოფლის სკოლაში გამოთვლითი სასწავლო ტექნიკის მთელი კომპლექსით აღჭურვილი კომპიუტერული კლასის გახსნის შემდეგ.

სურათზე: მოსწავლეები მეცადინეობაზე კომპიუტერულ კლასში.

ბ. კაპნინის ფოტო.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ქართული კალენდარი

ახლა, როცა თანდათან ვცდილობთ დავუბრუნდეთ ჩვენს ფესვებს, აღვადგინოთ და განვავითაროთ ყოველივე ქართული, ეროვნული, გაჩნდა საინტერესო აზრი—სმარებაში შემოვიღოთ ძველი ქართული კალენდარი.

იულიანური კალენდრის შემოღებამდე ქართული კალენდარი წარმოადგენდა ქართველთა მითოლოგიური, კოსმოგონიური, ასტრალური შეხედულებების მშვენიერ განხორციელებას. კვირის დღეების ხახელწოდებანი წარმართობის დროიდან მომდინარეობს, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ქართველთა ტომებს მრავალი ღვთაება იფარავდა. ყოველი დღე რომელიმე ღვთაების სახელობისა იყო:

ორშაბათი—მთოვარისა
სამშაბათი—თარხონისა
ოთხშაბათი—ჯამაღისა
ხუთშაბათი—მთიებისა
პარასკევი—ობისა
შაბათი—მორიგისა
კვირა—მზისა.

აქ საინტერესოა ერთი რამ—როგორც ვიცით, ბიბლიამ შაბათი უქმე დღედ გამოაცხადა, ღვთის სადიდებლად გამოყო. საინტერესოა, რომ წინამდებარე ჩამონათვალშიც შაბათი ღმერთის დღედაა გამოცხადებული. ესაა წარმართული ღმერთი, რომელიც ღვთაებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურს, მეშვიდეცას ფლობდა. სწორედ მას უწოდებდნენ მორიგეს (არსთა გამრიგე, სამყაროს შემქმნელი და ქვეყნად წესრიგის განმაჩინებელი)

საინტერესოა თვეების ძველქართული სახელწოდებებიც, მათში ჩანს როგორც წარმართობის დროს ისე ქრისტიანული კოსმოგონიური და ასტრალური წარმოდგენები, ზოდიაქოს ციკლისადმი მიმართება:

იანვარი—აპანი, აპნისი.
თებერვალი—სარწყუნისი, სურწყუნისი.
მარტი—მირკანი.
აპრილი—იგრიკა.
მაისი—ვარდობისა, ვარდობისთვე.
ივნისი—მარიალისა, თიბათვე.
ივლისი—თიბისა, მკათათვე.
აგვისტო—ქველთობისა, მარიამობისთვე.
სექტემბერი—ახალწლისა, ენკენისთვე.
ოქტომბერი—სთვლისა, ღვინობისთვე.
ნოემბერი—ტირისკნისი, გიორგობისთვე.
დეკემბერი—ტირისდენი, ქრისტეშობისთვე.

როგორც ვხედავთ, თვეების ძველქართული დასახელებანი კარგად განსაზღვრავს მათ ადგილს წლიურ ციკლში, ასახულია რა როგორც ბუნებრივი მოვლენების, ასევე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დრო.

უძველეს დროში საქართველოში, ისევე როგორც თითქმის მთელს მსოფლიოში, მთვარის კალენდრით სარგებლობდნენ. რომელიც 354 დღე-ღამეს შეიცავდა. ძველი წელთაღრიცხვის მე-5 თუ I-ლ საუკუნეებში იგი შეიცვალა მზის კალენდრით. პირველ საუკუნეში შემოიღეს ნაკიანი წელიწადი. ამ კალენდრის მიხედვით წელიწადი იყოფოდა 12 თვედ, რომლებიც თანაბარი რაოდენობის დღეებისაგან შედგებოდა—30-30. მეთორმეტე თვის ბოლოს ემატებოდა 5 ან 6 დღე. იმისდა მიხედვით, ჩვეულებრივი იყო წელი თუ ნაკიანი. ამ დამატებით დღეებს ეპაგომენები ეწოდებოდა. ამ დროისათვის მოქმედებდა აგვისტოს სტილი, ე. ი. წელი იწყებოდა აგვისტოში. მე-7 მე-8 საუკუნეებიდან კი შემოდის სექტემბრის სტილი, ვინაიდან ახალი წელი იწყებოდა პირველი სექტემბრიდან. ამ პერიოდში უნდა ემოქმედოს [illegible] ზემოთმოტანილი დასახელება—ახალწლისა. ამ პერიოდიდანვე შემოდის საქართველოში თვეების რომაული დასახელება: იანვარი, თებერვალი და ა. შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პარალელურად იყენებდნენ ქართულ დასახელებებსაც. მე-8-9 საუკუნეების მიჯნაზე შემოდის მარტის სტილის წელიწადი, ხოლო მე-10 საუკუნიდან—იანვრის სტილისა, რომელიც მე-13-14 საუკუნეებიდან ბატონდება. საქართველოში ერთდროულად იყენებდნენ სხვადასხვა სტილის წელიწადს, ისევე, როგორც სარგებლობდნენ წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემებით. არსებობდა რამდენიმე ასეთი სისტემა: ათვლა ქვეყნის შექმნიდან, ქრისტეს დაბადებიდან, ჯვარცმა—აღდგომიდან, ქრონიკონული ერა. ქრონიკონული ერა შეიცავდა 532—წლიან ციკლებს, რომელთაც მოქცევა ეწოდებოდა. ამ ერის მიხედვით, 1844 წლიდან ჩვენ შევედით მე-15 მოქცევაში. იულიუსის კალენდარი საქართველოში 1918 წლამდე მოქმედებდა. 1918 წლის 1 მაისიდან შემოვიდა გრიგორიანული კალენდარი, რომელიც ახლა მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში მოქმედებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართული და საერთოდ, მართლმადიდებლური ეკლესია დღესაც იულიანურ კალენდარს იყენებს, ამ კალენდრის მიხედვით ჯერ კიდევ 1989 წელია. ახალი წელი კი 14 იანვარს (ძვ. სტ. 1 იანვარი) შემოაბიჯებს. კეთილი იყოს მისი მობრძანება.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

სად გსურთ ისწავლოთ?

ქუთაისის სამკერვალო სასწავლებელი აცხადებს მუსწავლეთა მიღებას 1990 წლის პირველი კვარტალისათვის

სპეციალობით „ქალისა და ბავშვის ტანსაცმლის უნივერსალური მკერავი“

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები. წარჩინებით კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის დროს სარგებლობენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ოქროს medალოსნის უპირატესობით. დანარჩენებს სწავლის გაგრძელება შეუძლიათ სასურველ პროფესიაზე როგორც წარმოებისაგან მოწყვეტით, ისე მოუწყვეტლად.

სწავლების ვადა 10 თვეა. მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 70 მანეთის რაოდენობით და საწარმოო პროცესში გამომუშავებული თახხის 50 პროცენტს. ფრიადოსნები ღებულობენ სტიპენდიას 25 პროცენტით მეტს.

სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ საწარმოო სტაჟად. კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი სპეციალობის მიხედვით. სასწავლებელი, რაიონიდან ჩამოსულ მოსწავლეებს აკმაყოფილებს საერთო საცხოვრებლით. ძირითად პროფესიასთან ერთად ტექნიკურ წრეებში მსურველებს შეუძლიათ შეისწავლონ მანქანაზე ბეჭდვა, საოჯახო medიცინა, ქარგვა, ქსოვა.

განცხადება შეტანილი უნდა იქნეს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

1. საშუალო სკოლის ატესტატი (დედანი),
2. დაბადების მოწმობა ან პასპორტი,
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან,
4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ფორმა №086—უ,
5. 4 ცალი ფოტოსურათი 3X4-ზე.

საბუთების მიღება იწარმოებს 30 იანვრამდე. სწავლა დაიწყება 1 თებერვალს.

სასწავლებლის მისამართია: კოსმონავტების ქ. №65
ტელეფონი: 6-31-75, 6-79-25.
ავტობუსი №11, 1, 19, 5.
ტროლეიბუსი №8. 6.

სასწავლებლის დირექცია.

ჭილოცავთ
ულოცავთ ბედნიერებას!

გელა გენიას ასულ ყალინაძეს
როლანდ ვალიკოს ძე მურცხვალაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. დაე, ფუძეძლიერი, შვილმრავალი და სიხარულით აღსავსე იყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები.

ჭილოცავთ

ნარგიზა მიხეილის ასულ გრეგაძეს
იური დავითის ძე ხაბულიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. შვილთა სიმრავლეს გისურვებთ, აღგეზარდოთ ერის სასახელო შვილები.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

მეზობლები ბიქტორ ქარსელაძე, გივი ბურჯალიანი, ჯემალ სილაგაძე, ამირან, ჟორა, ლეო კვირკაშვილები, მიშა მეშველიანი, ვაჟა ჩაფრავა, ექვთიმე, გიზო, ბიძინა გუგავები ოჯახებით თანაუგრძნობენ ფაფალა და რუბენ კვირკაშვილებს შვილიშვილის

ნიკა ჯემალის ძე ულენტის
გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიაბრეშუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუბენ კვირკაშვილს შვილიშვილის

ნიკა ულენტის
გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შურა ტვილიდიანს დედის

ნადეჟდა ყარამანის ასული მეშველიანის
გარდაცვალების გამო.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნიკო მუშკუდიანს დედის

ლუბა მუშკუდიანის
გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, **შეკვეთა** 142, **ინდექსი** 66539, ტირაჟი 4441

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.